

თინათინ თურქია

ლექსიკის სემანტიკური ცვალებადობის კვლევისათვის

ენაში ლექსიკის ზოგი უბანი უფრო ნელა იცვლება, ზოგი უფრო სწრაფად. ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობების მობილურობა და სხვადასხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორების ზემოქმედებით გამოწვეული სემანტიკური ცვალებადობა საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ ლექსიკის სიცოცხლისუნარიანობას, მის გაჩენა-კარგვასა და გადააზრებას.

ლექსიკის ამა თუ იმ სეგმენტის აღსაწერად მასალის შერჩევას შემდეგი ფაქტორები განაპირობებს:

ა) ნომინაციის პროცესები წარსულში და ახლაც (შეტადრე ჩვენს დროში) მკაფიოდ ანთროპოცენტრული ხასიათისაა. ამ მხრივ ადამიანის ყოფისა და სოციალური სტატუსის ამსახველი ლექსიკა სალექსიკონო ფონდის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. ლექსიკა ადამიანს ან მის მიერ დანახულ სამყაროს უკავშირდება;

ბ) ის ლექსიკა, რომელიც თავისებურად საზოგადოებრივი პროცესების სუბიექტია, ატარებს სოციალურ შინაარსს, რაც გასათვალისწინებელია მისი ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურის ადეკვატური და თანამიმდევრული ასახვისათვის;

გ) ერთი ლექსიკურ-სემანტიკური კლასის ფარგლებში მოქცეული ერთეულების ანალიზი შესაძლებლობას იძლევა დავაკვირდეთ განახლების მექანიზმსა და სისტემურ გარდაქმნებს, და ამ გარდაქმნათა განსაზღვრულ კანონზომიერებებსაც გავადევნოთ თვალი.

ლექსიკის სემანტიკური ველების, თვალსაზრისით კვლევის მიზანია ლექსიკურ-სემანტიკური გარდაქმნების გზის ხასიათისა და გარდაქმნის მიზეზების დადგენა. ამ მიზნით უნდა გადაწყდეს შემდეგი ამოცანები:

1. გამოვლინდეს და შეირჩეს ისეთი ლექსიკა, რომელიც მოსაზღვრული პერიოდისთვის ნოვაციად გვევლინება.
2. დახასიათდეს ისინი ენობრივი დინამიკის სხვადასხვა მიმართულების მიხედვით, გაანალიზდეს კონკრეტულ ეტაპზე ლექსიკის განახლების მექანიზმები, განისაზღვროს ახალი და ძველი ერთეულების შეფარდება;
3. განხორციელდეს შერჩეული ლექსიკური ერთეულების თემატური ანალიზი, მოხდეს მათი სისტემატიზაცია, შეუდარდეს სალექსიკონო განმარტებებს და ამ გზით მოინიშნოს აქტიური ნომინაციის ზონები.
4. აღიწეროს აქტიური სიტყვაწარმოებითი პროცესები, გამოიყოს პროდუქტიული მოდელები და ტიპები;
5. განხილულ იქნას საძიებელი ლექსიკის ფუნქციონირების თავისებურებები სოციალურ-პოლიტიკურ ყოფაში.

ლინგვისტიკის თანამედროვე ეპოქას უწოდებენ სემანტიკის ეპოქას, რამდენადაც საყოველთაო პრაგმატიზაციამ ენის შესწავლის საფუძვლად წინა პლანზე წამოსწია სწორედ პრაგმატიკა. "ლექსიკონი მხოლოდ ლექსიკის ძველი კი არ არის, არამედ ენის შესწავლის აუცილებელი და ორგანული ნაწილია" (Ю. Д. Апресян, 1995, стр. 3-69). ლექსიკონი დღეს ვეღარ შემოიფარგლება

სიტყვის ძირითადი მნიშვნელობის განმარტებით, მისი ამოცანაა, შეძლებისდაგვარად, ამ სიტყვის ტექსტობრივი მოხმარების ყველა ნიუანსის აღწერა და კვალიფიცირება. ამ მოთხოვნებს განსაკუთრებული აქტუალურობით აყენებს კომპიუტერული ლინგვისტიკა, რომელსაც სხვადასხვა მიზნით, განსაკუთრებით კი მანქანური თარგმანისათვის, ესაჭიროება სიტყვის ტექსტობრივი მნიშვნელობების მაქსიმალური განსაზღვრა და ოპტიმალური სემანტიკური ველების შექმნა.

თანამედროვე ლინგვისტები სულ უფრო ხშირად აღნიშნავენ, რომ ენის სოსიურისეული სინქრონია-დიაქრონიული დაყოფა მთლად ზუსტი არ არის. კერძოდ, ფრანგი მკვლევარი გუსტავ გიომი (1883-1960) მიიჩნევდა, რომ ენა ერთდროულადაა წარსულის მემკვიდრეობაც და ადამიანის მიერ შემეცნების პროცესში მისი გარდაქმნის შედეგიც. გიომის თეორიას ფსიქოსისტემატიკას უწოდებენ. გიომს ბევრი მიმდევარი გაუჩნდა, განსაკუთრებით ჩვენს დროში.

თანამედროვე ლინგვისტიკაში არსებობს ენობრივი სისტემის სხვადასხვაგვარი განსაზღვრებანი, აქედან ძირითადია:

ა) ენა არის სემიოტიკური ფუნქციონალური სისტემა, რომელიც ემსახურება ცნობიერებაში ინფორმაციის გაცვლასა და შენახვას;

ბ) ენა არის სისტემათა სისტემა, რომლის შიგნითაც გაირჩევა ფონეტიკური, მორფოლოგიური, ლექსიკური, სინტაქსური და სხვა ქვესისტემები. ქვესისტემის მნიშვნელობით ამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად იყენებენ ტერმინს "ველი".¹

დისკურსული კვლევების წარმოება საშუალებას იძლევა ლექსიკური ერთეული სემანტიკასთან ერთად კონოტაციური განმარტებითაც განისაზღვროს. ანუ: ლექსიკის სემანტიკური ცვალებადობის შესწავლა საშუალებას მოგვცემს:

ა) აღვსახოთ თემატური ლექსიკა, მოვახდინოთ მისი ინვენტარიზაცია;

ბ) ვიპოვოთ ერთი სემანტიკური (თუ დარგობრივი) ველიდან მეორეში გარდამავალი ზღვრული სემანტიკა და დავადგინოთ ამ ზღვრების გრამატიკული განპირობებულობა;

გ) დავადგინოთ ლექსიკის სემანტიკური ველის შიდა იერარქია;

დ) ამოვიცნოთ ნომინაციის პრინციპები და ლოგიკა ეროვნულ ენაში;

ე) ამოვიცნოთ სესხების პრინციპები და ლოგიკა ეროვნულ ენაში;

ვ) დავადგინოთ საკუთრივ ქართული და ნასესხები ლექსიკის მრავალმნიშვნელობიანობის (პოლისემანტურობის) შესაძლებლობათა სხვაობა და ავხსნათ ე. წ. ადაპტირებულ ნასესხებ ლექსიკაში პოლისემანტურობის ზრდის ტენდენცია.

ფ. პალმერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სემანტიკა და მნიშვნელობა გასამიჯნი ცნებებია, თუმცა მიუთითებს, რომ ხშირად მათ სპეციალისტები სინონიმებად იყენებენ. სწორედ სემანტიკისა და მნიშვნელობის გამიჯნას უკავშირებს იგი ლექსიკის ეტიმოლოგიურ კვლევებს და მიუთითებს, რომ ეტიმოლოგიები, რომლებიც მუდამ ტოვებენ ბევრ საკამათოს გამატიკულ დონეზე, სემანტიკური თვალსაზრისით ყოველთვის ანგარიშგასაწევია და ხშირად სარწმუნოც (Palmer F. R., Semantics. A new outline. Cambridge University Press 1976. First published 1976, Reprinted 1977 (twice), 1979. First published in USSR 1982).

¹ შემაღვენილი ერთეულების მთლიანობა, რომელიც ფარავს ადამიანური გამოცდილების გარკვეულ უბანს და ქმნის ასე თუ ისე მეტნაკლებად ავტონომიურ მიკროსისტემას.

ევროპულ ენებში ძირითადი ე.წ. სრული სიტყვები ("full" words) და ფორმობრივი სიტყვები ("form" words) უკეთ იმიჯნება ერთმანეთისაგან, ვიდრე ქართულში, სადაც ევროპულ ენათა ფორმობრივი სიტყვის ქართული ანალოგი ხშირად სიტყვის შემადგენელი ნაწილია და ახალი ცნების ისეთივე აუცილებელი მაშენებელიც, როგორც სიტყვის ძირი. ამიტომაც, მაგ., სიტყვაში "პირდაპირი", "და" კავშირის ამოკითხვა სემანტიკურად აღარცაა საჭირო; ასევე, ინგლისური "in heart of heart" მაჩაბელმა ქართულად გადმოიტანა, როგორც "გულისგულში" და ერთცნებიან კომპოზიტად შემოგვთავაზა.

ლიტერატურა

Ю. Д. Апресян, Избранные труды, Том 1, Лексическая семантика
Синонимические средства языка, М., 1995.

Ахманова, Словарь лингвистических терминов, 1966.

Palmer F. R. Semantics. A new outline. Cambridge University Press 1976.
First published 1976, Reprinted 1977 (twice), 1979. First published in USSR 1982.

TINATIN TURKIA

ON THE STUDY OF THE SEMANTIC CHANGES OF VOCABULARY

Nowadays dictionaries cannot confine themselves with the definition of main meanings of the entries'. They are aimed at doing their best in their definitions in terms of accuracy to feature all the nuances of the world use in the texts. The demand also comes from the artificial intellect need to define all the occasional meanings of the word in context and create optimal semantic fields to ensure the precision during the machine translation.

Discourse analysis allows providing connotative meanings together with the basic meaning of the word; that is, the study of the change of meaning of the word should permit us:

- a) to register thematic words, and make an inventory of the word-stock;
- b) to detect the semantic boundaries of the word and define the grammatical conditioning of the process when a lexical unit of a certain field transfers into another field;
- c) to determine the inner hierarchy of the semantic field of a lexical unit;
- d) to discover principles and logics of nomination in a national language;
- e) to determine the difference in poli-semantics of the Georgian words and borrowings and explain the tendency of growing poli-semantics in borrowings.